

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლაში

მარიამ ქუთათელაძე

თსუ განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატია ეხება სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის ზოგიერთ ასპექტს და ამ ორგანოს როლს სასკოლო გარემოს გაუმჯობესებაში.

მაღალი ტექნოლოგიებისა და გლობალიზაციის საუკუნეში დაბადებული ახალგაზრდებისთვის, სკოლა რომ საინტერესო და სასურველი ადგილი გახდეს, აუცილებელია, მოზარდები თავად ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას სასკოლო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

სტატიაში განხილულია „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნეს“ მოსწავლეთა თვითმმართველობის ზოგიერთი ინიციატივა: საქველმოქმედო საქმიანობა და შეხვედრების ციკლი - „საუბრები სკოლა XXI საუკუნეში“. ეს აქტივობები, წლების მანძილზე, წარმატებით ხორციელდება აღნიშნული სკოლის მოსწავლეთა წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, სკოლის ადმინისტრაციის ხელშეწყობით.

ყოველწლიურად, მოსწავლეთა თვითმმართველობა ორგანიზებას უწევს მზრუნველობა მოკლებული თანატოლებისთვის საჭირო ნივთების შეგროვებას და ერთობლივი აქტივობების დაგეგმვას. ამ შეხვედრებისა და ურთიერთობების შედეგად, მოსწავლეები სოციალურად დაუცველი, სხვადასხვა ეროვნების თანატოლების ცხოვრების უშუალო მონაწილეები ხდებიან. შედეგად, მოზარდებში თანადგომისა და ტოლერანტობის განცდა ძლიერდება, ისინი ინტერკულტურულ ურთიერთობებს ეზიარებიან და გარემო სამყაროს მრავალმხრივი ხედვა უყალიბდებათ, რაც მათ ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას დიდწილად განაპირობებს.

შეხვედრების ციკლი - „საუბრები სკოლა XXI საუკუნეში“ მოსწავლეებს პროფესიული არჩევანის განსაზღვრაში ეხმარება. სხვადასხვა სფეროსა და პროფესიის წარმომადგენლები მოსწავლეებს მათთვის აქტუალურ და საინტერესო საკითხებზე ესაუბრებიან, პასუხობენ მათ შეკითხვებს. ასეთი შეხვედრები ხელს უწყობს მოსწავლეების, როგორც აქტიურ მსმენელებად ჩამოყალიბებას, ასევე, კონსტრუქციული მსჯელობის, საკუთარი პოზიციის განსაზღვრისა და კრიტიკული აზროვნების უნარის ჩამოყალიბებას.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

აღნიშნული სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობა არაერთ საინტერესო მიმართულებას მოიცავს. დიდია მათი როლი შიდასასკოლო ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ მათი აზრი ყოველთვის გათვალისწინებულია სკოლის ხელმძღვანელობის მიერ.

დასკვნა: მოსწავლეთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაშიამაღლებს მოტივაციას, ზრდის აკადემიურ მოსწრებას და თითოეული მოზარდის შესაძლებლობებისუკეთ რეალიზების საშუალებას იძლევა. ყოველივე ზემოთქმული აუმჯობესებს სასკოლო გარემოს, მიმზიდველს და საინტერესოს ხდის მოზარდებისთვის, რაც ვფიქრობთ, წარმატებული სკოლის უმთავრესი მიზანი და მაჩვენებელია.

საკვანძო სიტყვები: მოსწავლეთა თვითმმართველობა,

მეთორმეტე კლასების მოსწავლეები ასახელებენ და ხმათა უმრავლესობის პრინციპით, ირჩევენ მათთვის სასურველ კანდიდატებს, რომლებიც თავიანთი კლასის წარმომადგენლები ხდებიან სკოლის ადმინისტრაციაში. თავად თვითმმართველობის შემადგენლობა წარმოადგენს საპრეზიდენტო კანდიდატებს. წარმოდგენილი კანდიდატებიდან (უმრავლეს შემთხვევაში მე-10, მე-11, ან მე-12 კლასების მოსწავლეები) პრეზიდენტს ირჩევენ მეშვიდე - მეთორმეტე კლასების მოსწავლეები, ხმათა უმრავლესობის პრინციპის დაცვით.

იმ მრავალნაირი აქტივობებიდან, რომლებიც მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით დაიგეგმა და წარმატებით ხორციელდება ჩვენს სკოლაში, ყურადღება მინდა შევაჩერო ორ მიმართულებაზე: საქველმოქმედო საქმიანობა და შეხვედრების ციკლი - „საუბრები სკოლა XXI საუკუნეში“.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ დაგეგმილი ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია მზრუნველობამოკლებული თანატოლების შესახებ, რამაც საფუძველი ჩაუყარა მრავალწლიან ურთიერთობას და მეგობრობას წილკნისა და გალავნის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლების ბინადრებთან.

ყოველწლიურად, მოსწავლეთა თვითმმართველობა ორგანიზებას უწევს მათი თანატოლებისთვის საჭირო ნივთების მოგროვებისა და გადანაწილების პროცესს, მათთვის ერთობლივი აქტივობისა და ღონისძიების ჩატარებას. სასწავლო წლის დასაწყისში ისინი უკავშირდებიან აღნიშნული სახლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რათა გაარკვიონ, თუ რამდენი და რომელი ასაკის მოზარდი ცხოვრობს კონკრეტულ დაწესებულებაში. რაც მთავარია, იღებენ ინფორმაციას მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა, თუ სურვილების შესახებ. შემდეგ, თითოეულ კლასს, დაწყებითი საფეხურის ჩათვლით, უნაწილდება საჭირო ნივთებისა და საჩუქრების

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ჩამონათვალი. აგროვებენ და ახარისხებენ მოტანილ ნივთებს და გარკვეული დღესასწაულისთვის (შობა-ახალ წელს, აღდგომის დღესასწაულზე) სახელობით ამანათებს უმზადებენ თავიანთ თანატოლებს.

თავდაპირველად, ჩვენი მოსწავლეები ჩადიოდნენ სტუმრად, თუმცა, ბოლო რამდენიმე წელია მოსწავლეთა თვითმართველობამ გადაწყვიტა თანატოლების ჩამოყვანა თბილისში. ისინი ერთად ესტუმრნენ რამდენიმე მუზეუმს, დაათვალიერეს ექსპოზიციები თბილისის სამხატვრო გალერეებში; საკუთარი არჩევანის მიხედვით, დაესწრნენ თეატრალურ სპექტაკლებს და რამდენიმე კინოსეანსს; მოაწყვეს შემეცნებითი ვიზიტები თბილისის ღირშესანიშნავ უბნებსა და ადგილებში; იმყოფებოდნენ სპორტულ შეჯიბრებაზე.

ასეთი შეხვედრების დროს, ისინი უკეთ ეცნობიან ერთმანეთს, საუბრობენ მათთვის საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე, უზიარებენ ერთმანეთს შეხედულებებსა, მსჯელობენ სამომავლო გეგმებზე.

მახსოვს, ერთხელ ერთ-ერთი ასეთი სახლის დირექტორმა მადლობა გადაგვიხადა. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმ ყურადღებისა, რომელსაც მათ მიმართ სხვადასხვა სახელმწიფო თუ კომერციული სტრუქტურები იჩენენ, ჩვენი მოსწავლეების დამოკიდებულება და საჩუქრები განსაკუთრებით ღირებულია მათი აღსაზრდელებისთვის, რადგან ეს ამანათები ყოველთვის სახელობითია და თითოეული, კონკრეტული ბავშვის საჭიროებებსა და სურვილებს ითვალისწინებს. თუმცა, ვფიქრობ, რომ ჩვენ უფრო დიდი მადლობა გვეთქმის მათთვის, რადგან ამ ბავშვებთან ურთიერთობა ჩვენი მოსწავლეებისთვის ძალიან ღირებულია. ამ შეხვედრებისა და ურთიერთობების შედეგად, ჩვენს მოსწავლეებში თანადგომის გრძნობა ყალიბდება. ისინი სოციალურად დაუცველი თანატოლების ცხოვრების უშუალო მონაწილეები ხდებიან, რაც თანაგანცდასა და ტოლერანტობას აძლიერებს მათში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სახლების ბინადართა ნაწილი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელია, შესაბამისად მოზარდები ინტერკულტურულ ურთიერთობებს ეზიარებიან და გარემო სამყაროს მრავალმხრივი ხედვა უყალიბდებათ, რაც მათ ღირსეულ და მოქალაქეებად და კეთილშობილ ადამიანებად ჩამოაყალიბებას დიდწილად განაპირობებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა, რომელსაც ჩვენი სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობა აქტიურად ახორციელებს, პროფესიული არჩევანის განსაზღვრას ემსახურება.

ჩვენი ქვეყანა, ჯერ კიდევ, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესშია. ამ პროცესის სწორად წარმართვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაცია. პროფესიული საქმიანობის სწორი არჩევანი მომავალი მოქალაქის წარმატების ერთერთი უმთავრესი პირობაა, რაც თავის მხრივ, წარმატებული სამოქალაქო საზოგადოების გარკვეულ გარანტს წარმოადგენს.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

„ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნეში“ მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივით, უკვე მეშვიდე წელია წარმატებით ხორციელდება შეხვედრების ციკლი - „საუბრები სკოლა XXI საუკუნეში“.

მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მოუსმინონ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს, რომლებიც თავიანთ ხედვასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას უზიარებენ მათ; საუბრობენ ახალგაზრდებისთვის აქტუალურ საკითხებზე. შეხვედრები დიალოგის ფორმატში იმართება, რაც საშუალებას აძლევს მსურველებს შეკითხვები დაუსვან სტუმრებს მათთვის საინტერესო საკითხებზე.

მოსწავლეებთან შესახვედრად მოდიან სხვადასხვა სფეროსა და პროფესიის წარმომადგენლები: მეცნიერები და მკვლევარები, მწერლები, ხელოვნების სხვადასხვა დარგისა თუ სპორტის წარმომადგენლები, უცხოეთში მოღვაწე ქართველები, ასევე, საქართველოში მოღვაწე უცხოელი დიპლომატები.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შეხვედრები ძალიან უწყობს ხელს მოსწავლეების აქტიურ მსმენელებად ჩამოყალიბებას. ისინი ეჩვევიან კითხვების დასმას, აუდიტორიასთან კონსტრუქციულ და არგუმენტირებულ მსჯელობას. დებატისას, მათ საკუთარი პოზიციის განსაზღვრის უნარი უყალიბდებათ. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საუბრის დროს მოსწავლეები კრიტიკულად იწყებენ აზროვნებას.

რეკომენდაციის სახით დავამატებდი, რომ ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ ქალაქსა თუ სოფელში მოიძებნებიან ადამიანები, ვისი ცხოვრებისეული გზისა და გამოცდილების გაზიარება საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს მოზარდებისთვის.

როგორც უკვე აღვნიშნე, ასეთი საუბრები ახალგაზრდებს მათი მომავალი ცხოვრებისთვის ძალიან მნიშვნელოვან უნარებსა და ჩვევებს უვითარებს.

ჩვენი სკოლის თვითმმართველობის მუშაობა არ შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული აქტივობებით. დიდია მათი როლი შიდასასკოლო ცხოვრებაში: კლუბები, ვიქტორინები, კონკურსები, ეკოლოგიური პროექტები, საზეიმო ღონისძიებები, გამოფენები, დაწყებითი კლასების მოსწავლეებთან სხვადასხვა მიმართულებით მუშაობა და სხვ. აქტიურია, ასევე, მათი როლი სკოლის დისციპლინურ კომიტეტში, ამ მიმართულებითაც მათი აზრი ყოველთვის გათვალისწინებულია.

და ბოლოს, გამოცდილება გვკარნახობს, რომ მოსწავლეთა ჩართულობის ზრდა სასკოლო ცხოვრებაში, ადმინისტრაციის მხარდაჭერა ქმნის დადებით განწყობას სკოლისა და სწავლის მიმართ, საგრძნობლად ამაღლებს მოტივაციას, ზრდის აკადემიურ მოსწრებას, აძლევს მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას. ყოველივე ეს აუმჯობესებს სასკოლო გარემოს, რაც ჩვენი აზრით, წარმატებული სკოლის უმთავრესი მიზანი და მაჩვენებელია.